გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

2022

# სოფლის მეურნეობა რიცხვებში

# სოფლის მეურნეობა

## ძირითადი ტენდენციები

თბილისი, 2022 წელი

**პუბლიკაციის მომზადებაში მონაწილეობდნენ:**

ეკატერინე ზვიადაძე
ნინო კულატამიშვილი
მიხეილ კობახიძე
თამარ თარაშვილი
ლელა ნონიკაშვილი

**პირობითი აღნიშვნები:**

... ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.
0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

**შენიშვნები:**

ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო განსხვავება ჯამურ შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

პუბლიკაციაში არსებული მონაცემები არ მოიცავს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი).

სტატისტიკური მონაცემების წყაროს წარმოადგენს სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

# შინაარსი

**აგროსასურსათო პროდუქციის გამოშვება** ..... 5
**მთლიანი შიდა პროდუქტი** ..... 6
მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში ..... 6
მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ, 2015 წლის ფასებში ..... 7
**დასაქმება** ..... 8
**ბიზნეს სექტორი** ..... 9
**საგარეო ვაჭრობა** ..... 10

## აგროსასურსათო პროდუქციის გამოშვება

2022 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში პროდუქციის გამოშვებამ 7.1 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 12.2%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 96.5%-ით აღემატება.

სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის გამოშვების მაჩვენებელში, უდიდესი წილი მოდის სოფლის მეურნეობაზე (2022 წლის მაჩვენებლების მიხედვით - 95.0%). 2022 წელს, სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის გამოშვებამ (პირველადი წარმოება), 6.7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 724 მლნ ლარით (12.0%) აღემატება 2021 წლის და 3.6 მილიარდი ლარით (115%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებლებს.

2012 წლიდან 2022 წლამდე, სოფლის მეურნეობის დარგის გამოშვების მაჩვენებლის ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა მეცხოველეობისა და ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანის მიმართულებით დაფიქსირებული გამოშვების ზრდის მაღალმა მაჩვენებელმა.




2022 წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 8.5 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 1.2 მილიარდი ლარით (16.1%), ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 4.4 მილიარდი ლარით (109%) აღემატება. რაც შეეხება 2022 წელს აგრობიზნესის სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების ზრდას 2021 და 2012 წლებთან მიმართებაში, შესაბამისად 1.9 მლრდ (14.2%) და 8.0 მლრდ (112%) შეადგინა.




## მთლიანი შიდა პროდუქტი

### მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში

2022 წლის მონაცემებით, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულება, მიმდინარე ფასებში, 4.4 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 488 მლნ ლარით (12.6%) აღემატება 2021 წლის და 2.1 მლრდ ლარით (96.2%) აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

2012-2022 წწ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, გაანგარიშებული ამავე სექტორში ერთ დასაქმებულზე, 2.6-ჯერ გაიზარდა და 19 055 ლარი შეადგინა.




აღნიშნულ პერიოდში, დამატებული ღირებულების ზრდის განსაკუთრებით მაღალი

მაჩვენებელი დაფიქსირდა 2018 წელს, რაც დიდწილად მემცენარეობის დარგზე, კერძოდ კი მრავალწლოვანი კულტურების წარმოებაზე მოდის.

## მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ, 2015 წლის ფასებში

2022 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ მუდმივ ფასებში 3.1 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 2.9%-ით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 30.2%-ით აღემატება.




2012-2022 წწ პერიოდში, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო მნიშვნელობა, გაანგარიშებული ამავე სექტორში ერთ დასაქმებულზე, 5.3 ათასი ლარით (68.7%) გაიზარდა და 13.0 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 214 ლარს შეადგენს.



## დასაქმება

*2020 წელს საქსტატმა გამოაქვეყნა სამუშაო ძალის გამოკვლევის შედეგები ახალი მეთოდოლოგიით, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებული იქნა 2013 წელს და ოფიციალურად ძალაში შევიდა 2018 წლის ოქტომბერში.*

*ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, ძირითად ცვლილებას წარმოადგენს თვითდასაქმებული მოსახლეობის გადაკვალიფიცირება, კერძოდ თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად საკუთარი მოხმარებისთვის (50%-ზე მეტი). აღნიშნული პირები გადაკვალიფიცირდნენ და შეუერთდნენ ან უმუშევართა რაოდენობას ან მოსახლეობას სამუშაო ძალის გარეთ, იმის მიხედვით, ეძებდნენ თუ არა სამუშაოს და მზად იყვნენ თუ არა სამუშაოს დასაწყებად.*

2022 წელს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობამ 229.2 ათასი კაცი შეადგინა, რაც ქვეყანაში დასაქმებულთა 17.9%-ს შეადგენს. 2012-დან 2022 წლამდე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობა 78.1 ათასი კაცით (25.4%), ხოლო მათი წილი ქვეყანაში დასაქმებულებში, 7.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა.




2022 წელს სოფლად დასაქმებულთა რაოდენობამ 531.7 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 31.6 ათასი კაცით (6.3%-ით), ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 12.5 ათასი კაცით (2.4%-ით) აღემატება.

სოფლად უმუშევრობის დონე, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მინიმალურ ნიშნულზეა 2022 წელს და 15.7%-ს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელზე 6.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.




## ბიზნეს სექტორი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობები

*ბიზნეს სექტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება საქარველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური პერიოდის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევების მონაცემებს, რომლის მიხედვითაც საწარმო (მსხვილი, საშუალო, მცირე) არის ეკონომიკური ერთეული (დარეგისტრირებული ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი), რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, ამავდროულად, ახორციელებს ერთ ან რამოდენიმე ეკონომიკურ საქმიანობას. ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. აღნიშნული გამოკვლევა მოიცავს ბიზნეს სექტორს, გარდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებისა, სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოებისა, შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობებისა, შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისთვის არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოებისა, ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობისა. ქვემოთ წარმოდგენილ ქვეთავში, მოცემულია ბიზნეს სექტორის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებისათვის.*

ქვეყანაში იზრდება აგრარული სექტორით ბიზნესწრეების წარმომადგენელთა დაინტერესება. 2022 წელს, საწარმოთა მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით (წინასწარი), განხორციელდა 6.2 მლრდ ლარის ღირებულების სურსათის, სასმელებისა და თამბაქოს წარმოება, რაც 7.3%-ით აღემატება 2021 წლის და 173%-ით აღემატება 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2022 წელს, ბიზნეს სექტორის ბრუნვამ, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 799.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 25.5 მლნ ლარით (3.3%) აღემატება 2021 წლის და 594.4 მლნ ლარით (290%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2012-2022 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 59.4 მლნ ლარს შეადგენს.

2022 წელს, ბიზნეს სექტორის გამოშვებამ, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში 780.5 მლნ

ლარი შეადგინა, რაც 89.4 მლნ ლარით (10.2%) ნაკლებია 2021 წლის და 546.7 მლნ ლარით (233%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2012-2022 წწ, აღნიშნული მაჩვენებლის საშუალო აბსოლუტური მატება 54.6 მლნ ლარს შეადგენდა.

## საგარეო ვაჭრობა

2022 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1 252.1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 9.7%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს, ხოლო 145.0%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. 2022 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 22.4%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია: ღვინო (20%), სპირტიანი სასმელები (11%), მინერალური და მტკნარი წყლები (9%), კაკლოვანი ხილი (ძირითადად თხილი) (8%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (7%), სიგარეტი (5%) ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (5%),  კურკოვანი ხილი (გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოშო, ახალი) (3%)  და სხვა.

2022 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან 96 ქვეყანაში განხორციელდა.

2022 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1 852.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 37.3%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს.

2022 წელს, ქვეყნის მთლიან იმპორტში, აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი 13.7%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია: სიგარეტი (7%), შინაური ფრინველის ხორცი (5%), შაქარი (5%), შოკოლადის ნაწარმი (4%), ხორბლის ფქვილი (4%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (4%), ხორბალი (4%),  მარგარინი (3%), მცენარეული ზეთი (3%) და სხვა. აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი განხორციელდა 113 ქვეყნიდან.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო 2.9-ჯერ გაიზარდა და 601 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება 2012-2022 წლების პერიოდს, აღნიშნული მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა 20%-ით შემცირდა (2012 წელს, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო 753 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა).


აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი
(მილიონი აშშ დოლარი)
2 000
1 500
1 000
500
0
- 500
-1 000
2012 2013 2014 2015 2016 2017 2018 2019 2020 2021 2022
511 775 826 612 693 778 966 889 942 1,142 1,252
1 264 1 289 1 306 1 106 1 064 1 174 1 354 1 252 1 208 1 350 1 853
-753 -514 -480 -494 -371 -395 -388 -362 -266 -208 -601
ექსპორტი
იმპორტი
სავაჭრო ბალანსი


ძირითადი საექსპორტო ბაზრები აგროსასურსათო პროდუქციისათვის
(2022 წელი)
რუსეთი 33%
ევროკავშირი 14%
აზერბაიჯანი 11%
სომხეთი 10%
ყაზახეთი 7%
უკრაინა 4%
ბელარუსი 3%
ერაყი 3%
სხვა ქვეყნები 15%


აგროსასურსათო პროდუქციის ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები
(2022 წელი)
რუსეთი
28%
ევროკავშირი
22%
თურქეთი
14%
უკრაინა
6%
ბრაზილია
6%
აზერბაიჯანი
2%
სხვა ქვეყნები
22%


ძირითადი სასაქონლო პოზიციები აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში, 2022 წელი (მილიონი აშშ დოლარი)
450
400
350
300
250
200
150
100
50
0
253
139
113
103
83
62
58
36
407
ყურძნის ნატურალური ღვინოები
სპირტიანი სასმელები
მინერალური და მტკნარი წყლები
თხილი და სხვა კაკლოვნები
უალკოჰოლო აზიანი სასმელები
სიგარეტი
ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი
კურკოვანი ხილი
სხვა პროდუქცია




2022 წლის მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულია 173.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 4%-ით ნაკლებია 2021 წლის მაჩვენებელზე, ხოლო 2012 წლის მაჩვენებელს 70%-ით აღემატება. 2021 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი და სხვა კაკლოვნები (43%), ღვინო (18%), სპირტიანი სასმელები (14%), მინერალური წყლები (15%) და სხვა.

2022 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია 403.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 37%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი შეადგენს 22%-ს. ძირითადად იმპორტირებულია: საკვები დანამატები (7%), ცხოველების საკვები (6%), ფრინველის ხორცი (6%), სპირტიანი სასმელები (6%), შაქარი (5%), მცენარეთა ნერგები (4%), და სხვა.


ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქცია
( 2022 წელი, მილიონი აშშ დოლარი)
74
31
24
9
7
4
4
20
თხილი და სხვა კაკლოვნები
ყურძნის ნატურალური ღვინოები
სპირტიანი სასმელები
მინერალური და მტკნარი წყლები
გადამუშავებული ხილი (ძირითადად თხილი)
თხილის ფქვილი
ხილის და ბოსტნეულის წვენები
სხვა პროდუქცია


ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული აგროსასურსათო პროდუქცია
( 2022 წელი, მილიონი აშშ დოლარი)
300
250
200
150
100
50
0
28
25
24
23
20
18
16
251
საკვები დანამატები
ცხოველების საკვები
ფრინველის ხორცი
სპირტიანი სასმელები
შაქარი
მცენარეთა ნერგები
შოკოლადის ნაწარმი
სხვა პროდუქცია